

**ფისკალური სექტორის
მაკროეკონომიკური რისკების ანალიზი**

2016-2020 წწ.

მაკროეკონომიკური რისკები

1. შესავალი

ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ქვეყნის მაკროეკონომიკურ განვითარებაზე. ამგვარი მოვლენები წარმოადგენს ფისკალურ რისკებს, რომლებიც თავის მხრივ მოქმედებს ქვეყნის ფისკალურ მდგომარეობაზე. დოკუმენტის მიზანია გამოავლინოს მაკროეკონომიკური რისკები და შეაფასოს მათი ფისკალური შედეგები, რათა წინასწარ იყოს განსაზღვრული, როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური გადახრების შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკის პასუხები.

მაკროეკონომიკური რისკების შეფასების პროცესში გამოვლენილია ყველა ის შესაძლო დადებითი თუ უარყოფითი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორი, რომელსაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აზრით გავლენა ექნება მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

გამოვლენილი რისკების ანალიზის საფუძველზე დოკუმენტში განხილულია მაკროეკონომიკური განვითარების სამი სცენარი: საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური.

საბაზისო სცენარი წარმოადგენს, ეკონომიკური განვითარების იმ მოსალოდნელ ვარიანტს, რომლის მოხდენის ალბათობაც საშუალოვადიან პერიოდში ყველაზე მაღალია. შესაბამისად, აღნიშნული სცენარის საფუძველზე ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენა.

პესიმისტური სცენარი შექმნილია ეკონომიკური განვითარების შეფერხების, ხოლო ოპტიმისტური - ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შემთხვევისათვის.

მაკროეკონომიკური რისკების ეფექტიანი მართვისათვის მნიშვნელოვანია წინასწარ იქნას განსაზღვრული, თუ როგორი ფისკალური პასუხები ექნება მთავრობას საბაზისო სცენარიდან გადახრის შემთხვევაში. ამ მიზნით, აღნიშნული დოკუმენტი შეიცავს ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებზე მთავრობის პოლიტიკის პასუხებს.

2. ეკონომიკური მიმოხილვა

2.1. მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

2015 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 2.8 პროცენტი შეადგინა. 2015 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 31 692 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 8.7 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2015 წლის არასახარბიელო ფაქტორები ნაწილობრივ შენარჩუნებულია 2016 წელსაც. თუმცა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (IMF, EBRD) 2016 წელს განახლებული პროგნოზების მიხედვით საქართველოს რეგიონში ერთ-ერთი მაღალი ზრდა აქვს. 2016 წლის პირველი შვიდი თვის საშუალო რეალურმა ზრდამ 2.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2016 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 3.0 პროცენტის დონეზეა ნავარაუდები.

2.2. ფასები

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკას, რაც ითვალისწინებს ეკონომიკის განვითარებისათვის ოპტიმალური ინფლაციის დონის განსაზღვრას და აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევას. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 2016 წელს 5 პროცენტს შეადგენს, ხოლო 2017 წლისათვის - 4 პროცენტს. აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევას საქართველოს ეროვნული ბანკი 2017 წლის ბოლოსთვის პროგნოზირებს.

2016 წლის აგვისტოში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაციის დონე) 0.9 პროცენტი შეადგინა. 2016 წლის ბოლოს მოსალოდნელი ინფლაციის მაჩვენებელი მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი დონეზეა ნავარაუდები.

2.3. ლარის გაცვლითი კურსი

2015 წლისგან განსხვავებით, 2016 წელს ლარმა გამყარება დაიწყო. 2016 წლის რვა თვეში ლარი გამყარდა როგორც აშშ დოლართან, ასევე ევროსთან მიმართებაში, შესაბამისად 3.8 პროცენტით და 1.7 პროცენტით. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების კურსთან გამყარდა 3.6 პროცენტით.

2016 წელს, გაცვლითი კურსის კორექტირებამ საგადასახდელო ბალანსის დინამიკა პოზიტიური მიმართულებით შეცვალა. მიმდინარე მაკროეკონომიკური ანალიზის მიხედვით, სავალუტო კურსზე ფუნდამენტური ფაქტორების გავლენა ამოწურულია.

2.4. საბიუჯეტო პოლიტიკა

მთავრობა მისდევს ფისკალური დეფიციტის თანმიმდევრული შემცირების პოლიტიკას საშუალოვადიან პერიოდში. 2016 წელს დაგეგმილია ბიუჯეტის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 3.0 პროცენტის ოდენობით. აღნიშნული მაჩვენებელი დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების პირობებში 2017 წლისათვის შედარებით მაღალ დონეზე იქნება, ხოლო შემდეგ წლებში მისი თანმიმდევრული შემცირებაა ნავარაუდები.

2.5. მიმდინარე ანგარიში

მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მაღალი დეფიციტი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ მოწყვლადობის წყაროს წარმოადგენს. 2015 წელს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 12.0 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ნომინალურ გამოსახულებაში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაუმჯობესდა, თუმცა კურსის გაუფასურების გამო, აშშ დოლარით გამოსახული მშპ-ს შემცირების გამო, ფარდობის მაჩვენებლის გაუარესებას ქონდა ადგილი. საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებისაკენ.

2.6. სახელმწიფო ვალი

2015 წელს სახელმწიფო ვალი მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში მშპ-ს 41.5%-ის დონეზეა. აქედან, საგარეო ვალი 32.6, ხოლო საშინაო ვალი 8.9 პროცენტი. აღნიშნული მაჩვენებელი, არ აღემატება ეკონომიკური თავისუფლების აქტით განსაზღვრულ დასაშვებ ნორმას (60% მშპ-სთან მიმართებაში).

გასულ პერიოდში ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ლარში გამოსახული სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობა, თუმცა სახელმწიფო ვალის პორტფელი ინარჩუნებს ხელსაყრელ ფინანსურ პარამეტრებს და საშუალოვადიან პერიოდში არ მიაღწევს

კრიტიკულ ზღვარს, რასაც ასევე უჩვენებს სახელმწიფო ვალის მდგრადობის ანალიზის შედეგები.

ამასთან, საგარეო ვალის მაღალი წილის გამო, საგარეო მოწყვლადობის შესამცირებლად, გრძელვადიან პერიოდში მთავრობა გეგმავს შიდა ვალის წილის ზრდას.

2.7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2015 წელს, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 11 პროცენტით შემცირდა და 1 565 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 834 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11 პროცენტით მეტია 2015 წლის შესაბამის პერიოდის მაჩვენებელზე. უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურაში პირველ ადგილზე აზერბაიჯანი, ხოლო მეორე ადგილზე გაერთიანებული სამეფო იმყოფება.

3. წინა დოკუმენტში იდენტიფიცირებული რისკების ანალიზი

3.1. რისკების მატერიალიზაციის ანალიზი

წინა დოკუმენტში იდენტიფიცირებულ იქნა 5 პოზიტიური და 4 ნეგატიური მაკროეკონომიკური რისკი. პოზიტიური რისკებიდან 2016 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში რეალიზებულ იქნა ოთხი მათგანი:

დაბალ დონეზე შენარჩუნდა ნავთობის ფასები, რასაც მოჰყვა შიდა ბაზარზე საწვავზე ფასების დაბალი დონე და შემცირებული დანახარჯები იმპორტზე (დაახლოებით 25 მლნ აშშ დოლარი წლის პირველ ნახევარში).

მეზობელ ქვეყნებში განვითარებული ნეგატიური მოვლენების ასახვა საქართველოს ეკონომიკაზე ამ ეტაპისათვის ამოწურულია. დასტაბილურდა სიტუაცია რეგიონის ქვეყნებში. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შეფასებით აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელზე მეტად არ შენელებულა. გაუქმდა საბერძნეთიდან ფულის გადარიცხვებზე დაწესებული კონტროლები და ფულადი გზავნილების შემოდინების გაუმჯობესდა.

ირანისათვის სანქციების მოხსნამ გაზარდა მისი ეკონომიკური აქტივობა რეგიონში. გაზრდილია საექსპორტო შემოსავლები. მკვეთრად მოიმატა ირანიდან შემოსული ვიზიტორების რიცხვმა.

სავალუტო კურსის გაუფასურებამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა როგორც მომხმარებელთა ასევე ბიზნესის ნდობის მაჩვენებელს. 2016 წელს ლარის გაცვლითი კურსი დასტაბილურდა. გაუკვევლობა მოიხსნა, რამაც დადებითად იმოქმედა მომხმარებელთა და ბიზნესის ნდობაზე, რაც ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წარმმართველი ფაქტორია.

2016 წლის პირველ ნახევარში, იდენტიფიცირებული უარყოფითი რისკების მწვავე მატერიალიზაციას და მათი ეკონომიკაზე შეფერხების მიმართულებით ასახვას ადგილი არ ჰქონია. წინა წელთან შედარებით დასტაბილურდა ვითარება რეგიონში (თუმცა კვლავ არსებობს უარყოფითი სცენარის განვითარების ალბათობა). მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა ინვესტირებისადმი მიდრეკილების დაბალი დონე, საქართველოს შემთხვევაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მაღალია. გარდა ამისა, როგორც ეს გასული წლის რისკების ანგარიშში იყო უარყოფით რისკად იდენტიფიცირებული, ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ არ განხორციელებულა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მოსალოდნელი ტემპებით ზრდა, რაც კიდევ უფრო შეამცირებდა ინვესტიციების ნაკადებს ახალი ბაზრის ქვეყნებში.

3.2. პოლიტიკის პასუხების ანალიზი

2016 წელს ეკონომიკური განვითარების დინამიკა გასული წლის რისკების ანგარიშში (SFR 1501) აღწერილი საბაზისო სცენარის მსგავსია. აღნიშნული სცენარი ითვალისწინებდა ეკონომიკის 3 პროცენტთან რეალურ ზრდას.

საბაზისო სცენარის მიხედვით 2016 წლისათვის დაგეგმილია 9,590 მლნ ლარის შემოსავლის მოზილიზება, საიდანაც 8,685 მლნ ლარი იქნება საგადასახადო შემოსავლები, საოპერაციო სალდო - 1,060 მლნ ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 1,721 მლნ ლარი, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტი დაფიქსირდება 1,035 მლნ ლარის დონეზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მთავრობის რეაგირების საჭიროება არ დამდგარა.

4. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გავლენა ფისკალურ მდგომარეობაზე

მაკროეკონომიკური რისკების ფისკალურ სექტორზე გავლენის შეფასება ეფუძნება მათი ხარჯებზე, შემოსავლებზე და დეფიციტზე გავლენის სიდიდის განსაზღვრას.

ფისკალურ სექტორზე მოქმედ ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს წარმოადგენს: ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, გაცვლითი კურსი და საპროცენტო განაკვეთები. საპროცენტო მაჩვენებლიდან დადებითი და უარყოფითი გადახრის სიდიდე განსაზღვრულია, აღნიშნული მაჩვენებლების ისტორიული მერყეობების მაშტაბების გათვალისწინებით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია, აღნიშნული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების საბაზისო მაჩვენებლიდან გადახრის ფისკალურ სექტორზე გავლენის სიდიდე.

ცხრილი N1

სცენარები			გადახრა საბაზისოდან						
			ლარი (მლნ)				% მშპ-თან		
			შემოსავლები	ხარჯები	დეფიციტი	დაფინანსების წყაროები	შემოსავლები	ხარჯები	დეფიციტი
მშპ-ს ზრდა ¹	დადებითი	6.8%	199.0		199.0		0.54%		0.54%
	უარყოფითი	1.2%	(199.0)		(199.0)		-0.54%		-0.54%
ინფლაცია ²	დადებითი	6.7%	173.1	73.8	99.4		0.47%	0.20%	0.27%
	უარყოფითი	1.3%	(173.1)	(73.8)	(99.4)		-0.47%	-0.20%	-0.27%
საპროცენტო განაკვეთი ³	დადებითი	2.3%		(54.8)	54.8			-0.15%	0.15%
	უარყოფითი	2.9%		54.8	(54.8)			0.15%	-0.15%
სავალუტო კურსი ⁴	დადებითი	2.17	(19.6)	(15.8)	(3.8)	(52.9)	-0.05%	-0.04%	-0.01%
	უარყოფითი	2.43	19.6	15.8	3.8	52.9	0.05%	0.04%	0.01%

ეკონომიკური ზრდა¹; ინფლაცია²; საპროცენტო განაკვეთი³ ლარის გაცვლითი კურსი⁴;


აღნიშნული ანალიზი აჩვენებს, რომ ფისკალურ სექტორზე მოქმედი მნიშვნელოვანი პარამეტრებია ეკონომიკური ზრდა და ფასების საერთო დონე. ხოლო, საპროცენტო განაკვეთი და გაცვლითი კურსი უმნიშვნელო გავლენას ახდენენ ფისკალური სექტორის მდგომარეობაზე, რის გამოც მაკროეკონომიკური სცენარები გაანგარიშებულია მხოლოდ ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის შოკების გათვალისწინებით.

¹ ეკონომიკური ზრდის სცენარები გაანგარიშებულია როგორც 2016 წლის საპროცენტო მაჩვენებელს პლუს (მინუს) 2005-2014 წლების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის ორი სტანდარტული ცდომილება.

² ინფლაციის მაჩვენებლისთვის აღებულია საპროცენტო მაჩვენებელს პლუს (მინუს) ბოლო 10 წლის ორი სტანდარტული ცდომილება;

³ ნომინალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის საპროცენტო საპროცენტო ეფექტურ განაკვეთს პლუს (მინუს) ბოლო 10 წლის ორი სტანდარტული ცდომილება;

⁴ ლარის საშუალო წლიური ნომინალური კურსის ზედა და ქვედა ზღვარი არის საპროცენტო კურსს პლუს (მინუს) ბოლო 10 წლის ორი სტანდარტული ცდომილება;



5. მაკროეკონომიკური რისკები

მაკროეკონომიკური რისკების იდენტიფიცირების პროცესში გამოვლენილია ყველა ის ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ ან ეკონომიკურ ზრდაზე ან ინფლაციაზე.

5.1. პოზიტიური ფაქტორები

5.1.1. ნავთობის ფასების დაბალ დონეზე შენარჩუნება

ბოლო წლების განმავლობაში, ნავთობის და ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოს იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე იყო. 2015-2016 წლებში ნავთობპროდუქტების იმპორტის კლებამ 500 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა 2013-2014 წლებთან შედარებით. ნავთობპროდუქტებზე დაბალი ფასების ეფექტი საქართველოს ეკონომიკისთვის უფრო მნიშვნელოვანია საშუალოვადიან პერიოდში. აღნიშნულ საქონელზე ფასების კლება შეამცირებს საწარმოო დანახარჯებს და წახალისებს ეკონომიკურ აქტივობას. იგი მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გრძელვადიან პერიოდში მდგრადობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

5.1.2. ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობის ზრდა

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებამ (DCFTA) და ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოებამ, მნიშვნელოვან პოზიტიურ მოლოდინებს ქმნის. ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის სრული მატერიალიზება ხანგრძლივი პროცესია. თუმცა, უკვე მომავალ წელს მოსალოდნელია არსებითი პროგრესი ამ მხრივ.

5.1.3. ჩინეთთან ვაჭრობის ზრდა

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რომლის საბოლოო ხელმოწერა 2016 წლის დეკემბერშია დაგეგმილი და რომელიც 2017 წლის შუა პერიოდიდან ამოქმედდება მნიშვნელოვანია ექსპორტის ზრდის მიმართულებით.

5.1.4. საინვესტიციო პროექტების დაჩქარება:

მთავრობის მიერ საინვესტიციო პროექტების დაჩქარება დადებითად აისახება ეკონომიკაზე და დამატებით სტიმულს მისცემს კერძო ინვესტიციებს.

5.2. ნეგატიური ფაქტორები

5.2.1. რეგიონში არასტაბილური გარემო

საქართველოს მეზობელი ქვეყნები ჩართულნი არიან სამხედრო კონფლიქტში ან იმყოფებიან კონფლიქტის ზღვარზე. შესაბამისად, არსებობს სიტუაციის უარყოფითი სცენარით განვითარების ალბათობა. აღნიშნული რისკების მატერიალიზაციის შემთხვევაში მნიშვნელოვნად შეფერხდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. თურქეთში მიმდინარე მოვლენებმა უკვე ასახვა ჰპოვა მის საკრედიტო რეიტინგებზე. წამყვანი სარეიტინგო კომპანიის მიერ უკვე განხორციელდა თურქეთის სუვერენული და სხვა საკრედიტო რეიტინგების შემცირება. აღნიშნული შესაძლოა უარყოფითად აისახოს რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობაზე. თუმცა ინვესტიციების გადინების შემთხვევაში, არსებობს იმის პოტენციალი, რომ ამ ინვესტიციების მოზიდვა საქართველოში მოხდეს.

5.2.2. Brexit

მოსალოდნელია, რომ დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილებას ევროკავშირის დატოვების შესახებ, საქართველოზე როგორც საინვესტიციო, ისე საგარეო სავაჭრო კუთხით მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება. თუმცა, შესაძლოა დამატებითი რისკების წარმოქმნის შესაძლებლობა. კერძოდ, მოსალოდნელი გახდა, რომ, მოლოდინების გაუარესების ფონზე, ევროკავშირის ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესი შენელდება, რაც დააზარალებს ერთობლივ მოთხოვნასა და სასაქონლო პროდუქციის ფასებს.

5.2.3. ინვესტირების შესუსტების ტენდენციები განვითარებულ ქვეყნებში

განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა ინვესტირებისადმი მიდრეკილების დაბალი დონე. განვითარებული ქვეყნების კომპანიები ამცირებენ ინვესტიციებს არამართო საკუთარი ქვეყანაში არამედ საზრვარგარეთაც. განსაკუთრებით იზრდება მოლოდინები, იმისა რომ შეამცირდეს ინვესტორთა აქტივობა ახალი ბაზრების ქვეყნებში. შესაბამისად, იზრდება საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და სხვა საერთაშორისო ნაკადების შემცირების რისკი. აღნიშნული ფაქტორი მეტწილად საშუალოვადიანი პერიოდის რისკს წარმოადენს.

5.2.4. ამერიკაში პოლიტიკის განაკვეთის ზრდა

აშშ-ის ეკონომიკა ბოლო პერიოდში საკმაოდ მაღალი ზრდის ტემპებით ვითარდება. უმუშევრობის შემცირება და სამუშაო ადგილების შექმნა სოლიდურ ტემპებს ინარჩუნებს. 2016 წლის 8 თვის მონაცემებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მომხმარება. აღნიშნულ ფონზე ფინანსური ბაზრები კვლავ ვარაუდობენ ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ პოლიტიკის განაკვეთის ზრდას.

ფედ-ის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება დამატებითი ფაქტორი იქნება ამერიკაში კაპიტალის ნაკადების შემობრუნებისთვის, რაც შეამცირებს ინვესტიციებს ნაკადებს ახალი ბაზრის ქვეყნებში, გაზრდის ზეწოლას მათ სავალუტო კურსებზე და გაამძაფრებს კრიზისის მაღალი დოლარიზაციის მქონე ქვეყნებში. თუმცა, გამკაცრების ტემპს, სავარაუდოდ, შეანელებს ე.წ. Brexit, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ აშშ დოლარი დამატებით გამყარდება და გაურკვევლობა გაიზრდება.

5.2.5. ჩინეთის ეკონომიკის სტაგნაცია

ბოლო პერიოდის განმავლობაში შეიმჩნევა ზრდის ტემპების შემცირება ჩინეთის ეკონომიკაში. იგი წლების განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო, თუმცა სტაგნაციის შემთხვევაში შეიძლება მსოფლიო ეკონომიკის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცეს.

ჩინეთი უმსხვილესი წმინდა ექსპორტიორია რაც ამცირებს მისი გავლენის სიძლიერეს. მისი ეკონომიკის შემცირება ყველაზე მეტ პრობლემას შეუქმნის ნედლეულისა და საინვესტიციო

საქონლის მწარმოებელ ქვეყნებს. შესაბამისად, მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე არ იქნება ძლიერი.

თუმცა, ბოლო წლებში ჩინეთი გადაიქცა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვან წყაროდ. შესაბამისად ჩინეთის ეკონომიკის შემცირება ნეგატიურად იმოქმედებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე საქართველოში.

იდენტიფიცირებული პოზიტიური და ნეგატიური მაკროეკონომიკური ფაქტორები ძირითადად განაპირობებენ ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებას. ერთობლივ მიწოდებაზე მოქმედ ერთადერთ ფაქტორს წარმოადგენს ნავთობის მსოფლიო მოსალოდნელი ტენდენციები, რაც პოზიტიური ფაქტორია.

გარდა ამისა, ერთობლივი მიწოდების რისკებს ბიუჯეტის მაჩვენებლებზე შედარებით ნაკლები გავლენა აქვს. მშპ-ს კლებას თან ახლავს ფასების ზრდა, ხოლო მშპ-ს ზრდას ფასების კლება, რის გამოც მშპ-ის და ფასების ცვლილებით გამოწვეული ფისკალური ეფექტები ასუსტებენ ერთმანეთს.

შესაბამისად, ფისკალური სცენარების ანალიზისას განხილულია ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებებით გამოწვეული ფისკალური შედეგები და ცვლილების აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია საბიუჯეტო პოლიტიკის პასუხები.

6. მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი

საბაზისო სცენარი.

საბაზისო სცენარი ეყრდნობა 4 პროცენტის ეკონომიკური ზრდასა და 4,0 პროცენტის ინფლაციის დაშვებას. საბაზისო სცენარის მიხედვით 2017 წლისათვის დაგეგმილია 9,715 მლნ ლარის შემოსავლის მობილიზება, საიდანაც 8,850 მლნ ლარი იქნება საგადასახადო შემოსავლები, საოპერაციო სალდო -834 მლნ ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 1,680 მლნ ლარი, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტი დაფიქსირდება 1,360 მლნ ლარის დონეზე.

პოზიტიური სცენარი.

პოზიტიური სცენარი ეყრდნობა 2017 წელს ეკონომიკის 5,4 პროცენტით და ფასების დონის 5,4 პროცენტით ზრდის დაშვებას, რაც განაპირობებს საგადასახადო შემოსავლების და შესაბამისად მთლიანი შემოსავლების ზრდას 191 მლნ ლარით საბაზისო სცენართან შედარებით.

პოზიტიური სცენარის განვითარების შემთხვევაში მთავრობა არ გაზრდის მიმდინარე ხარჯებს. შესაძლოა ნაწილობრივ გაიზრდოს კაპიტალური ხარჯები. ხოლო ჭარბი შემოსავლების დარჩენილი ნაწილით შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი.

ნეგატიური სცენარი

აღნიშნული სცენარი ეყრდნობა ეკონომიკის 2,6 პროცენტთან და ფასების 2,6 პროცენტთან ზრდის დაშვებას. ასეთ პირობებში, მოსალოდნელია საგადასახადო შემოსავლების კლება 190 მლნ ლარით.

ნეგატიური სცენარის განვითარების შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკის პასუხი იქნება: 2017 წელს ბიუჯეტის დეფიციტის ნომინალური სიდიდის შენარჩუნება. ძირითადად შემცირდება არაფინანსური აქტივების ზრდა. ასევე შესაძლოა ნაწილობრივ შემცირდეს მიმდინარე ხარჯებიც.

ფისკალური სცენარები და პოლიტიკის პასუხი

	საბაზისო	პოზიტიური	ნეგატიური	საბაზისო	პოზიტიური	ნეგატიური
	მლნ ლარი			% მშპ-თან		
შემოსავლები	9,715.0	9,906.0	9,525.0	26.5%	26.4%	26.7%
ხარჯები	8,881.0	8,881.0	8,881.0	24.3%	23.6%	24.9%
საოპერაციო სალდო	834.0	1,025.0	644.0	2.3%	2.7%	1.8%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,680.0	1,680.0	1,490.0	4.6%	4.5%	4.2%
დეფიციტი	(1,360.0)	(1,169.0)	(1,360.0)	-3.7%	-3.1%	-3.8%